პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქ. სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო.

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

შაბათი, 11 სექტემბერი, 1943 წ. № 191 (6816). ფასი 20 კაპ.

ბრძანება
უმაღლესი მთავარსარდლისა
არმიის გენერალ მალინოვსკის
გენერალ-პოლკოვნიკ ფოლბუხინს

სამხრეთ-დასავლეთის ფრონტის ჯარებმა, რომელნიც წარმატებითს შეტევას განაგრძობდნენ, დღეს, 10 სექტემბერს, დაიკავეს ქალაქი ბარვენკოვო, ქალაქი და რკინიგზის უმნიშვნელოვანესი კვანძი ჩაპლინო. დღესვე სამხრეთის ფრონტის ჯარებმა სწრაფი დარტყმით დაიკავეს აზოვისპირა მხარის რკინიგზების უმნიშვნელოვანესი კვანძი — ქალაქი ვოლნოვახა და, უტევდნენ რა აზოვის ზღვის სანაპიროს გასწვრივ, გერმანელ დამპყრობთაგან გაათავისუფლეს სამხრეთის მეტალურგიული მრეწველობის დიდი ცენტრი — ქალაქი და ნავსადგური მარიუპოლი.

ჩვენმა ჯარებმა სამხრეთში ამ ახალ წარმატებას მიაღწიეს ცხენოსან და მექანიზებულ შენაერთთა გაბედული მანევრის შედეგად, რომელნიც გერმანელთა ჯარების ზურგში შეიჭრნენ.

ქალაქების — **მარიუპოლის, ბარვენკოვოს, ვოლნოვახისა** და **ჩაპლინოსათვის** ბრძოლებში თავი გამოიჩინეს **გენერალ-მაიორ სელივანოვის** კავალერისტმა დონის კაზაკებმა, სატანკო ჯარების **გენერალ-ლეიტენანტ პუშკინის** და **გენერალ-ლეიტენანტ რუსიანოვის** ტანკისტებმა, **გენერალ-ლეიტენანტ ჩუიკოვის, გენერალ-ლეიტენანტ ლელიუშენკოს, გენერალ-ლეიტენანტ ხომენკოს** ჯარებმა, ავიაციის **გენერალ-ლეიტენანტ სუდეცის**, ავიაციის **გენერალ-ლეიტენანტ ხრიუკინის**, ავიაციის **გენერალ-მაიორ ტუპიკოვის** მფრინავებმა, კონტრ-ადმირალ **გორშკოვის** მეზღვაურებმა, რომელმაც დესანტი გადასხა მარიუპოლის დასავლეთით.

განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი:

პოლკოვნიკ **სლანოვის** დონის გვარდიის მე-11 საკავალერიო დივიზიამ, პოლკოვნიკ **სიჩოვის** ტაგანროგის 130-ე მსროლელმა დივიზიამ, პოლკოვნიკ **გლაჟევიჩის** 221-ე მსროლელმა დივიზიამ, გენერალ-მაიორ **ცალიკოვის** გვარდიის მე-3 მსროლელმა დივიზიამ, პოლკოვნიკ **ლეშჩინინის** გვარდიის 39-ე მსროლელმა დივიზიამ, პოლკოვნიკ **ძუსოვის** გვარდიის მე-9 გამანადგურებელმა საავიაციო დივიზიამ, პოლკოვნიკ **საფრონოვის** გვარდიის მე-5 მექანიზებულმა ბრიგადამ, პოლკოვნიკ **პარტემენკოს** გვარდიის მე-6 მექანიზებულმა ბრიგადამ, პოდპოლკოვნიკ **შაროვის** მე-12 მოტომსროლელმა ბრიგადამ, პოდპოლკოვნიკ **დევიატკოს** მე-3 სატანკო ბრიგადამ, პოდპოლკოვნიკ **ბესპალოვის** 39-ე სატანკო ბრიგადამ, სატანკო ჯარების **გენერალ-მაიორ ბურდოვის** გვარდიის 31-ე ცალკეულმა სატანკო ბრიგადამ, პოლკოვნიკ **შევჩენკოს** 65-ე სატანკო ბრიგადამ, პოდპოლკოვნიკ **გურინის** 1890-ე ცალკეულმა თვითმავალმა მსუბუქმა საარტილერიო პოლკმა, კაპიტან **ნესტეროვის** 517-ე ცალკეულმა სატანკო ბატალიონმა.

მოპოვებული გამარჯვების აღსანიშნავად იმ შენაერთებსა და ნაწილებს, რომელთაც თავი გამოიჩინეს ქალაქების — **მარიუპოლის, ვოლნოვახის, ჩაპლინოს** და **ბარვენკოვოს** განთავისუფლებისათვის ბრძოლებში, მიენიჭოთ სახელწოდება:

„მარიუპოლისა“:

221-ე მსროლელ დივიზიას,
გვარდიის მე-9 გამანადგურებელ საავიაციო დივიზიას;

„ვოლნოვახისა“:

გვარდიის დონის მე-11 საკავალერიო დივიზიას,
გვარდიის მე-3 მსროლელ დივიზიას,
გვარდიის მე-5 მექანიზებულ ბრიგადას,
გვარდიის მე-6 მექანიზებულ ბრიგადას,
მე-12 მოტომსროლელ ბრიგადას,
65-ე სატანკო ბრიგადას;

„ჩაპლინოსი“:

მე-3 სატანკო ბრიგადას,
39-ე სატანკო ბრიგადას;

„ბარვენკოვოსი“:

გვარდიის 39-ე მსროლელ დივიზიას,
გვარდიის 31-ე ცალკეულ სატანკო ბრიგადას,
1890-ე ცალკეულ თვითმავალ მსუბუქ საარტილერიო პოლკს,
517-ე ცალკეულ სატანკო ბატალიონს.

ეს შენაერთები და ნაწილები ამიერიდან იწოდებოდნენ:

მარიუპოლის 221-ე მსროლელი დივიზია,
მარიუპოლის გვარდიის მე-9 გამანადგურებელი საავიაციო დივიზია,
ვოლნოვახის გვარდიის დონის მე-11 საკავალერიო დივიზია,
ვოლნოვახის გვარდიის მე-3 მსროლელი დივიზია,
ვოლნოვახის გვარდიის მე-5 მექანიზებული ბრიგადა,
ვოლნოვახის გვარდიის მე-6 მექანიზებული ბრიგადა,
ვოლნოვახის მე-12 მოტომსროლელი ბრიგადა,
ვოლნოვახის 65-ე სატანკო ბრიგადა,
ჩაპლინოს მე-3 სატანკო ბრიგადა,
ჩაპლინოს 39-ე სატანკო ბრიგადა,
ბარვენკოვოს გვარდიის 39-ე მსროლელი დივიზია,
ბარვენკოვოს გვარდიის 31-ე ცალკეული სატანკო ბრიგადა,
ბარვენკოვოს 1890-ე ცალკეული თვითმავალი მსუბუქი საარტილერიო პოლკი,
ბარვენკოვოს 517-ე ცალკეული სატანკო ბატალიონი,
ტაგანროგის 130-ე მსროლელი დივიზია, რომელმაც მეორედ გამოიჩინა თავი გერმანელ დამპყრობლებთან ბრძოლებში, წარდგენილ იქნას **წითელი დროშის** ორდენით დასაჯილდოებლად.

დღეს, 10 სექტემბერს, 20 საათზე, ჩვენი სამშობლოს დედაქალაქი **მოსკოვი** სამშობლოს სახელით სალუტს აძლევს ჩვენს სახელოვან ჯარებს, რომელთაც გაათავისუფლეს ქალაქები — **მარიუპოლი, ვოლნოვახა, ჩაპლინო** და **ბარვენკოვო**, ასოცდაოთხი ქვემეხის თორმეტი საარტილერიო ზალპით.

საუცხო საბრძოლო მოქმედებისათვის **მადლობას ვუცხადებ** თქვენს ხელმძღვანელობაში მყოფ ყველა ჯარებს, რომელნიც მონაწილეობას იღებდნენ **მარიუპოლის, ვოლნოვახის, ჩაპლინოს** და **ბარვენკოვოსათვის** ბრძოლებში.

სამარადისო დიდება გმირებს, რომელნიც დაეცნენ ჩვენი სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში!

სიკვდილი გერმანელ დამპყრობლებს!

უმაღლესი მთავარსარდალი
საბჭოთა კავშირის მარშალი ი. სტალინი

1943 წლის 10 სექტემბერი.

ბრძანება
თავდაცვის სახალხო კომისრისა

№ 269

1943 წლის 8 სექტემბერი — **ქ. მოსკოვი**

1943 წლის 23 თებერვალს გვარდიის 56-ე მსროლელი დივიზიის გვარდიის 254-ე მსროლელი პოლკის გვარდიის რიგითი მებრძოლი ალექსანდრე მათეს-ძე **მატროსოვი** გერმანელ ფაშისტ დამპყრობლებთან სოფ. **ჩერნუშკისათვის** ბრძოლის გადამწყვეტ წუთში მტრის ძელმიწურ საცეცხლე წერტილთან მიიწია, თავი გასწირა, თავისი სხეულით ამოეფარა ამბრაზურას და ამით უზრუნველყო შემტევი ქვეგანაყოფის წარმატება.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1943 წლის 19 ივნისის ბრძანებულებით გვარდიის რიგითს მებრძოლს ამხ. **მატროსოვს** სიკვდილის შემდგომ მიენიჭა საბჭოთა კავშირის გმირის წოდება.

ამხანაგ **მატროსოვის** მიერ ჩადენილი დიდი გმირული საქმე მებრძოლის მამაცობისა და გმირობის მაგალითს უნდა წარმოადგენდეს წითელი არმიის ყველა მეომრისათვის.

საბჭოთა კავშირის გმირის, გვარდიის რიგითი მებრძოლის ალექსანდრე მათეს-ძე **მატროსოვის** ხსოვნის უკვდავსაყოფად **ვბრძანებ:**

1. გვარდიის 56-ე მსროლელი დივიზიის გვარდიის 254-ე მსროლელ პოლკს მიენიჭოს სახელწოდება:

„გვარდიის 254-ე მსროლელი პოლკი ალექსანდრე **მატროსოვის** სახელობისა“.

2. საბჭოთა კავშირის გმირი, გვარდიის რიგითი მებრძოლი ალექსანდრე მათეს-ძე მატროსოვი სამარადისოდ ჩაირიცხოს ალექსანდრე **მატროსოვის** სახელობის გვარდიის 254-ე პოლკის 1-ლი ასეულის სიებში.

თავდაცვის სახალხო კომისარი
საბჭოთა კავშირის მარშალი ი. სტალინი

ბრძანებულება
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

სტალინური პრემიის ლაურეატის საპატიო ნიშნის დაწესების შესახებ

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1. დამტკიცდეს სტალინური პრემიის ლაურეატებისათვის **სტალინური პრემიის ლაურეატის საპატიო ნიშანი.**

2. დამტკიცდეს დებულება **სტალინური პრემიის ლაურეატის საპატიო ნიშნის** შესახებ.

3. დამტკიცდეს აღწერილობა **სტალინური პრემიის ლაურეატის საპატიო ნიშნისა.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
მ. კალინინი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ა. გორკინი.

მოსკოვი, კრემლი. 1943 წ. 8 სექტემბერი.

დებულება
სტალინური პრემიის ლაურეატის საპატიო ნიშნის შესახებ

1. სტალინური პრემიის ლაურეატის საპატიო ნიშანი ეძლევათ იმ პირებს, რომლებსაც სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს მიერ მინიჭებული აქვთ პირველი, მეორე და მესამე ხარისხის სტალინური პრემიები მეცნიერებისა და გამომგონებლობის, ხელოვნებისა და ლიტერატურის დარგში შესანიშნავი ნაშრომებისათვის.

2. სტალინური პრემიის ლაურეატის საპატიო ნიშნის გადაცემას აწარმოებენ სსრ კავშირის საბჭომსაბჭოსთან არსებული მეცნიერებისა და გამომგონებლობის დარგში სტალინური პრემიების კომიტეტი და სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებული ხელოვნებისა და ლიტერატურის დარგში სტალინური პრემიების კომიტეტი სტალინური პრემიის მინიჭების შესახებ დიპლომის გადაცემასთან ერთად.

3. სტალინური პრემიის ლაურეატის საპატიო ნიშანს ატარებენ მკერდის მარცხენა მხარეს სსრ კავშირის ორდენებისა და მედლების გვერდით.

აღწერილობა
სტალინური პრემიის ლაურეატის საპატიო ნიშნისა

1. სტალინური პრემიის ლაურეატის საპატიო ნიშანი მზადდება ვერცხლისაგან და წარმოადგენს თეთრი მინანქრით დაფარულ ამობურცულ ოვალს, რომლის ქვემო ნაწილს შემოვლებული აქვს ოქროს დაფნის შტოები.

თეთრ მინანქარზე გამოსახულია ოქროს ამომავალი სხივები. ზემო ნაწილში ოქროს სხივების ფონზე არის ხუთქიმიანი ვარსკვლავი, რომელიც შესრულებულია წითელი მინანქრით და გარშემო აქვს ოქროს რკალი. ოვალის შუაგულში ოქროთი გამოსახულია წარწერა: **„სტალინური პრემიის ლაურეატი“.** ოვალის ზემო ნაწილი მთავრდება გოფრირებული ლენტით, რომელიც დაფარულია ცისფერი მინანქრით ოქროს ნაკვეთით და წარწერით ლენტზე **„სსრკ“.** სპატიო ნიშნის ოდენობაა — სიმაღლეთ 40 მილიმეტრი და სიგანით 36 მილიმეტრი.

2. სპატიო ნიშანი ყუნწისა და რგოლის საშუალებით შეერთებულია ოქროსსუფევიანან ვერცხლის ფირფიტასთან, რომელზეც ცისფერი მინანქრით არაბული ციფრებით გამოსახულია **სტალინური** პრემიის მინიჭების წელი, ფირფიტას აქვს 27 მილიმეტრი სიგანე და 5 მილიმეტრი სიმაღლე.

ფირფიტა შეერთებულია ლენტთან, რომელთაც **სტალინური** პრემიის ლაურეატის **საპატიო** ნიშანს ატარებენ. ორმაგ რუხ-ცისფერ მუარის ლენტს სიგანე აქვს 24 მილიმეტრი და სიგრძე 35 მილიმეტრი. ლენტის შუა ნაწილი 10 მილიმეტრის სიფართით მუქი ცისფერია. ლენტის ზემო ნაწილში, მის ორ ზოლს შიგნივ, ჩაკერებულია ლითონის ფირფიტა, რომელსაც აქვს ყუნწიანი ფოლადის ქინძისთავი **საპატიო** ნიშნის ტანსამოსზე მისამაგრებლად.

გამარჯვება მოლის

რადიომ მოგვიტანა ქალაქ **სტალინოს** აღებისა და დონეცის ბასეინის **განთავისუფლების** ამბავი. ჩვენი უმაღლესი მთავარსარდლის, ამხანაგ **სტალინის** ბრძანების მტკიცეცა მაფიო სიტყვებს ისმენს ლენინგრადი, ისმენს **ფრონტი** და ფლოტი, ისმენს ჩვენი ქვეყანა, ისმენს მთელი მსოფლიო.

იმ დივიზიების გამარჯვებათა სია, რომელთაც **დონბასი** გაათავისუფლეს, მტკიცედ შევა ისტორიაში.

ჩვენ რაც შეიძლება ეფრო ნათლად, უფრო თვალსაზრისად უნდა წარმოვიდგინოთ ამ დიკეზიების—**სამხრეთისა** და **სამხრეთ-დასავლეთის** ფრონტების **გმირთა** საგმირო **საქმეები.**

გერმანიის არმია დაახლოებით ორ წელიწადს ამაგრებდა ზღუდეებს, რომელნიც **დონბასს** იფარავდნენ. მარცხენა ფლანგი ემყარებოდა ბელგოროდ-**ხარკოვის** გამაგრებულ **რაიონს**, რომელიც უკრაინის აღმოსავლეთის კარის კლიტედ ითვლებოდა. შემდეგ **სამხრეთში** და **სამხრეთ-აღმოსავლეთში** მიდიოდა გამაგრებული ზოლი **დონეცისაკენ.** ღრმა **სანგრები** **დონეცის** მაღალ ნაპირზე გადასცქეროდნენ წითელი არმიის პოზიციებს. ყველა მისადგომი მავთულით იყო დახლართული. ნაღმებით იყო დაფარული ყველა სავალი გზა და ბილიკი. ერთ კილომეტრ ფრონტზე **გერმანელებს** 8-მდე ძელმიწური საცეცხლე წერტილ ჰქონდათ უახლესი ჯავშნიანი **სატყვიამფრქვევი** **კოშკურებით—„კრაბებით“.** მათი ჯავშნის სისქე 15 **სანტიმეტრია.** ყოველივე ეს **გამაგრებული** იყო მძლავრი **არტილერიით**, **სატანკო** **დივიზიებით** **და** **ძლიერი** **ავიაციით.** **გერმანელთა** **სარდლობას** **აბსოლუტურად** **სჯეროდა**, **რომ** **მისი** **სიმაგრე** **მიუვალი** **იყო.** **გერმანელები** **მდინარე** **მიუსზე** **მიმავალ** **ფრონტს** **ეძახდნენ** „**გერმანიის** **აქტიურად** **დაცულ** **საზღვარს**“.

ბრძანებულება
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა
სტალინური პრემიის ლაურეატის საპატიო ნიშნის დაწესების შესახებ

ბრძანებულება
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა
სტალინური პრემიის ლაურეატის საპატიო ნიშნის დაწესების შესახებ

დებულება
სტალინური პრემიის ლაურეატის საპატიო ნიშნის შესახებ

აღწერილობა
სტალინური პრემიის ლაურეატის საპატიო ნიშნისა

გამარჯვება მოლის

ბალტიელი „ასს“-ები

ფრონტი **ბალტიის** **ფლოტი**, 10 **სექტემბერი.** (**საკადესის** **სპეც.** **კორესპონდენტისაგან**). **თითმის** **ზედ** **აეროდრომის** **საზღვართან** **კვამლია** **გახვეული** „**მესერშმიტის**“ **დამტვრეული** **ფრთები**, **დაგრეული** **ფიუზელაჟი** **და** **ტალახში** **გასვრილი** **მოტორი.** 15 **მეტრზე** **დევს** **მკვდარი** **გერმანელი** **მფრინავი**, **ორი** „**რკინის** **ჯვრის**“ **კავალერი.** **გერმანელი** **ჯერ** **კიდევ** **ჰაერში** **იქნა** **მოკლული.** **მან** **ვერ** **მოასწრო** **იერიში** **მოეტანა** **ჩვენს** **თვითმფრინავებზე**, **რომლებიც** **ძირს** **დასაშვებად** **მოემართებოდნენ**, **ვერ** **შესძლო** **თავი** **დაეძვრინა** **ბალტიელი** **ავიაგამანადგურებლებისათვის.** **ამ** „**მესერშმიტიდან**“ **ერთ** **კილომეტრზე** **გდია** **მეორე**, **რომელიც** **ერთი** **წუთით** **უფრო** **გვიან** **იქნა** **ჩამოგდებული.**

ეს **მოხდა** **დღისით-შუისით.** **ღრუბლებს** **ამოფარებული** **ორი** **გერმანული** „**მესერშმიტი**“ **მიადგა** **ბალტიის** **ავიაციის** **გვარდიული** **პოლკის** **აეროდრომს.** **გვარდიელები** **დაავალებდნენ** **ბრუნდებოდნენ**, **რათა** **ძირს** **დაშვებულიყვნენ.** **ამ** **მომენტში** **წამყვანმა** **ვასილ** **გოლუბევმა** „**მესერშმიტის**“ **სილუეტი** **შეამჩნია.** **გოლუბევი** **არ** **დაელოდა** **თავდასხმას** **და** **მძაფრად** **მიიტანა** **იერიში** **გერმანელზე.** **პირველივე** **დარტყმის** **შემდეგ** „**მონადირე**“ **მტერი** **სწრაფად** **ჩამოვარდა** **და** **მიწაში** **ჩაერჭო.** **ვასილ** **გოლუბევი**, **გენადი** **ცოკოლაევი**, **ვლადიმერ** **დმიტრიევი** **და** **ილინი** **გარს** **შემოერტყნენ** **მეორე** **გერმანელს.** **ის** **აქეთ-აქეთ** **ეცა**, **მაგრამ** **თავი** **ვერ** **დააღწია** **რკინის** **რკალს.** **და** **მეორე** „**მონადირეც**“ **ჩამოგდებულ** **იქნა.**

ამ **ხანმოკლე**, **მაგრამ** **ცხარე** **შეტაკების** **მონაწილენი** **ცნობილი** **ბალტიელი** „**ასს**“-**ები** **არიან.** **მათ** **ერთად** **მოსპეს** **გერმანიის** **90-მდე** **ავიაგამანადგურებელი** **და** **ბომბდამშენი.** **ვასილ** **გოლუბევსა** **და** **გენადი** **ცოკოლაევს** **ტყუილად** **კი** **არ** **მიენიჭათ** **საბჭოთა** **კავშირის** **გმირის** **წოდება.**

თითოეულ „**ასს**“-**თაგანს** **თავისი** **ღირსეული** **მოწაფენი** **ჰყავს.** **ამ** **ცოტა** **ხნის** **წინათ** **საუცხო** **გამარჯვება** **მოიპოვა** **ახალგაზრდა** **მფრინავმა** — **გვარდიელმა** **ლეგჩენკომ.** **ის** **გაფრინდა** „**იუნკერს-88**“-**ის** **მოსასპობად**, **რომელიც** **ჩვენი** **ობიექტის** **სურათს** **იღებდა.** **გამოცდილი** **მფრინავი** **ვლადიმერ** **კორეშკოვი** **რადიოთი** **მიუთითებდა** **ლეგჩენკოს** **მტერზეროცა** „**იუნკერსამდე**“ **რამდენიმე** **ასეული** **მეტრი** **იყო** **დარჩენილი**, **კორეშკოვმა** **ბრძანა**: „**იერიში** **მიიტანეთ!**“.

20 **წამის** **შემდეგ** „**იუნკერსს**“ **ბოლო** **მოეღო** — **ლეგჩენკომ** **ბომბდამშენი** **ფინეთის** **ყურეში** **ჩააგდო.**

ბალტიელ **მფრინავ-გამანადგურებელთა** **ანგარიში** **დღითი-დღე** **მატულობს.**

ბალკანელი „**ასს**“-**ები

წარმატებით ავივლოთ სამხედრო მოსავალი

უდანაკარგოდ ავივლოთ თამბაქოს მოსავალი

ბოლნისი („კომუნისტის“ საკ. კორ.). რაიონში ბევრი მოწინავე კოლმეურნეობაა. სოფ. ქვედა კოშაკილისის კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე, ო. ალიევი) ყველა სახის კულტურები დაამუშავა დროულად და კარგი ხარისხით. თამბაქო 28 ჰექტარზე ხუთჯერ გათოხნეს. მოწინავე კოლმეურნეები: კ. ალიახოვი, ს. ალიევი, ი. ნაბისოვა და სხვები თამბაქოს ანრმსვის ყოველდღიურ ნორმას 200-ზე მეტი პროცენტით ასრულებენ. მეოთხე და მეექვსე ბრიგადები (ბრიგადირები მამედ ოღლი ბაჯიევი და შირინ ოსმან ოღლი) ყოველდღიურ დავალებებს პირნათლად ასრულებენ. სოფ. ბალიეის ბერიას სახელობის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე ს. ბერიძე) თამბაქო გათოხნეს 5-ჯერ, დროულად მორწყეს და უხვ მოსავალსაც მოელიან. კარგად მუშაობენ გ. კოდელაანაცის, ა. ავქოფაშვილის და გ. სელიმაშვილის ბრიგადები. კოლმეურნეები ნ. ავქოფაშვილი, ს. ბერიძე, მ. მესროფოვი, დ. კოდელაშვილი, მ. სელიმაშვილი, ლ. ელიკაშვილი, ნ. ხეჩუაშვილი, გ. მაღრაძე, ს. ციმაკურიძე თამბაქოს ანრმსვის ყოველდღიურ ნორმას 250 პროცენტით ასრულებენ. კოლმეურნეობას 27 აგვისტოსათვის ანრმსილი ჰქონდა 45.800 ზონარმტერი თამბაქო. ამ კოლმეურნეობაში კარგად არის მოვლილი შაქრის ჭარხალი.

მაგრამ ყველგან ასე როდია. სოფ. კაზრეთის ოქტომბრის დიდი რევოლუციის სახელობის კოლმეურნეობა (თავმჯდომარე დ. დემურაშვილი) სუსტად მუშაობს. თამბაქო ცუდად არის მოვლილი. მისი ხელმეორედ გამორგვა არ უწარმოებიათ, არის თამბაქოს ისეთი ფართობი, რომელიც მხოლოდ ერთხელ გათოხნეს. ამის გამო ერთ ჰექტარამდე თამბაქო გაფუჭებულია. ცუდად არის მოვლილი შაქრის ჭარხალიც. რით უნდა აიხსნას ეს? იმით, რომ აქ შრომის დისციპლინა დაბალია, ძალები ბრიგადებში სწორად არ არის გამოყენებული.

ამ კოლმეურნეობაში მეცხოველეობის ახალმწიფო გეგმის შესრულებაც არადამაკმაყოფილებელია. მუშა საქონელს წესიერად არ უვლიან.

პარტიულმა, საბჭოთა ორგანიზაციებმა და სამეწოთმოქმედო ორგანოებმა მეტი ხელმძღვანელობა და დახმარება უნდა გაუწიონ ჩამორჩენილ კოლმეურნეობებს.

დ. სტეფანია

თამბაქოს და მზესუმზირის მოსავლის აღება, სიღოსის მომზადება

საქმიწსახკომის 5 სექტემბრის ცნობებით, თამბაქოს შეტეხვის გეგმა აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში შესრულებულია 34 პროცენტით, აჭარის ასს რესპუბლიკაში—34,5 პროც., ზუგდიდის რაიონში—62,1-ით, ჩოხატაურის რაიონში—26,8-ით, გურჯაანის რაიონში — 36,5-ით, სიღნაღის—25,9-ით, ყვარლის — 28,0-ით, ლაგოდეხის—76,7-ით, ბორჩალოს—52,9-ით, ბოლნისის რაიონში—27,7 პროცენტ-ით.

აღმოსავლეთ საქართველოს რაიონებში გაჩაღებულია მზესუმზირის მოსავლის აღება. გურჯაანის რაიონში აღებულია გეგმის 51,9 პროცენტი, სიღნაღის—34,9, წითელწყაროს—16,4, თელავის—9,3, ყვარლის—64,5, ლაგოდეხის—77,8, თბილისის—14,0, საგარეჯოს — 9,5 პროცენტი.

სილოსის მომზადების წლიური გეგმები გადაჭარბებით შეასრულეს ჭიათურის, ორჯონიკიძის, ახალქალაქის, ბოგდანოვკის, ასპინძის, წალკის, წითელწყაროს და ბაშკიჩეთის რაიონებმა. მოწინავეთა რიგებში არიან აბრეთვე მაიაკოვსკის, ჩხარის, საჩხერის, ბორჯომის, გურჯაანის რაიონები. აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში შესრულებულია გეგმის მხოლოდ 9,2 პროცენტი, ჩოხატაურის რაიონში—5,5, ამბროლაურის—2,5, ხაშურის — 2,3, გორის—8,4, თიანეთის—5,5, თბილისის—8,5, ყარაიის—5,7 პროცენტი.

საშემოდგომო თესვა და მზარეულ ხვნა

საჩხერის, ცაგერის, ქარელისა და გორის რაიონებში დაიწყო საშემოდგომო კულტურების თესვა. საქმიწსახკომის ცნობებით, 5 სექტემბერს საჩხერის რაიონში დათესილი იყო 16 ჰექტარი (გეგმის 0.1 პროც.), ცაგერის რაიონში—58 ჰექტარი (2 პროც.), გორის რაიონში 811 ჰექტარი (4.8 პროც.), ხოლო ქარელის რაიონში (1 სექტემბერს)—35 ჰექტარი (0,3 პროც.).

მზარეულ ხვნის გეგმა თიანეთის რაიონმა 91,5 პროცენტით შეასრულა, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიურ ოლქმა—11,5 პროცენტით, ახალქალაქის რაიონმა—27,9, ბოგდანოვკის—27,5, ახალციხის—60,6, ადიგენის—60,9, ასპინძის—36,9, ხაშურის—33,2. ქარელის (1 სექტემბერს)—19,4, გორის—11,2, კასპის — 5,4, ბორჯომის—3,3, წალკის—17,0, დუშეთის —1,8, გურჯაანის—10,3, ყვარლის—20,0 და ბორჩალოს რაიონში—0,7 პროცენტით.

მარცვლეულის ჩაბარების გეგმის შესრულება

გორის რაიონის კოლმეურნეობებმა სახელმწიფოსათვის მარცვლეულის სავალდებულო ჩაბარების გეგმა 100.6 პროცენტით შეასრულეს, ხოლო წითელი არმიის ფონდში ჩაბარებისა—113 პროცენტით. ვიდაზე ადრე დაგაკარებებით მარცვლეულის ჩაბარების გეგმა შეასრულეს: ქვეშის, დიდი გარეჯვრის, მექვაბიანთუბნის, ხიდისთავის, ქვემო ნიქოზის, ხელთუბნის და სხვ. კოლმეურნეობებმა.

საქ. კ. პ. (ბ) გორის რაიკომის მდივანი ბ. მიხანაშვილი
რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე მ. ბუჯიაშვილი

სახელმწიფოს აბარებენ გერანის უხვ მოსავალს

ლაგოდეხი („კომუნისტის“ საკ. კორ.). რაიონის კოლმეურნეობებმა მასობრივად დაიწყეს გერანის კულტურის მწვანე მასის აჭრა და სახელმწიფოსათვის ჩაბარება. ეთერზეთის ლაგოდეხის ქარხანას მათ ჩააბარეს 3.818 ტონა გერანის მწვანე მასა. სოფელ ყარსუბნის ლიბკნეხტის სახელობის კოლმეურნეობამ ჩააბარა 320 ტონა, სოფ. თამარიანის კიროვის სახელობის კოლმეურნეობამ — 416 ტონა, სოფელ ბოლოკიანის ბაქრაძისა და ბერიას სახელობის კოლმეურნეობებმა—325 ტონა, სოფელ ორჯონიკიძის ბერიას სახელობის კოლმეურნეობამ—173 ტონა.

ლაგოდეხის ეთერზეთის ქარხანა (დირექტორი ამხ. ა. ცინცაძე) მომზადებული შეხვდა ნედლეულის მიღებას.

ვ. ცირეკიძე

ხაჯერ კაკაბაძემ ერთ დღეს 2.456 კილოგრამი ჩაი მოჰკრიფა

ქობულეთის რაიონის სოფ. ზედა ულანოვსკის სტურუას სახელობის კოლმეურნეობის წევრმა, ჩაის კრეფის ცნობილი სტახანოველის ამხ. ხატიჯე კაკაბაძის მოწაფემ, ხაჯერ კაკაბაძემ ჩაის ფოთლის კრეფის საქმეში რეკორდი დაამყარა. მან 7 სექტემბერს მოჰკრიფა 2.456 კილოგრამი ჩაის მწვანე ფოთოლი, აქედან 2.073 კილოგრამი პირველი ხარისხისა. დღიური დავალება შეასრულა 15.350 პროცენტით და გამოიმუშავა 229.5 შრომადღე, ხოლო ფულად—2.290 მანეთი. ამხ. კაკაბაძემ აღნიშნული თანხა თავდაცვის ფონდში შეიტანა.

ქობულეთის რაიმოწგანის გამგე
უ. მეფარიშვილი

„კომუნისტის“ წერილების კვალდაკვალ

„ჩაისფოთოლი არის. გეგმა შეუსრულებელია“

ამ სათაურით გაზ. „კომუნისტის“ 1943 წლის 28 აგვისტოს ნომერში დაიბეჭდა კორესპონდენცია, რომელშიაც აღნიშნული იყო, რომ ქობულეთის რაიონის ცალკეულ კოლმეურნეობებსა და ჩაის ფაბრიკებში დაარღვიეს ჩაის ფოთლის კრეფისა და მიღების წესები. ამ საკითხთან დაკავშირებით საქ. კ. პ. (ბ) ქობულეთის რაიკომის მდივანი ამხ. შ. ჭანუყვაძე გვატყობინებს, რომ აღნიშნული კორესპონდენცია განხილულ იქნა პარტრაიკომის ბიუროზე. დადასტურდა, რომ სოფ. სახალვაშოს კოლმეურნეობა „აჭარაში“ აღრეკავდნენ ჩაის ფოთლის კრეფის წესებს. ამ კოლმეურნეობის თავმჯდომარე ი. გორგილაძე მოხსნილია სამუშაოდან და გარიცხულია საკ. კ. პ. (ბ) რიგებიდან. ზემოაღნიშნული ნაკლოვანებანი უკვე გამოსწორებულია. ხუცუბნის ჩაის ფაბრიკაში არ იცავდნენ ჩაის ფოთლის მიღების წესებს დადგენილი ასორტიმენტის მიხედვით. ამის გამო ხუცუბნის ჩაის ფაბრიკის დირექტორს ამხ. კვაჭაძეს დაედო პარტიული სასჯელი, ხოლო ფაბრიკის კონტროლიორი მეგრელიძე მოიხსნა სამუშაოდან კარგი ხარისხის ჩაის ფოთლის დაბალ ხარისხში მიღებისათვის.

მოსავლის აღება

(საქმიწსახკომის 5 სექტემბრის ცნობა გეგმით)

რაიონები	თავთავიანი კულტურების აღება ჩაბარებულია პროცენტებით	ბალწვლია თავთავიანები ცხრა პროცენტით	აღებულია კარტოფილი ფილი პროცენტ.	თივის აღება პროცენტებით	რაიონები	თავთავიანი კულტურების აღება ჩაბარებულია პროცენტებით	ბალწვლია თავთავიანები ბალნები პროცენტებით	აღებულია კარტოფილი ფილი პროცენტ.	თივის აღება პროცენტებით
აფხაზეთის ასსრ				34,7	ასპინძა	92,6	51,3		111,2
აჭარის ასსრ				77,3	ხაშური	99,6	99,6	31,9	100,0
სამხრეთ-ოს. ა. ო.	87,2	79,2	3,2	97,2	ქარელი	99,4	97,3	27,3	106,7
ცხაკაია				33,6	გ ო რ ი	97,2	85,0	9,8	146,0
ხუგდიდი				78,7	კასპი	98,4	76,6	3,3	144,4
ხ ო ბ ი				12,5	ბორჯომი	52,4	75,2	3,8	93,4
მახარაძე				15,6	წალკა	51,2	22,9		106,8
ლანჩხუთი				51,2	დუშეთი	95,0	68,6		74,4
ჩოხატაური				1,5	თეთრი წყარო	93,6	56,5	29,6	102,7
ქუთაისი				101,3	თიანეთი	94,6	32,3		106,0
სამტრედია	100,0	100,0	76,9		გურჯაანი	100,0	93,1	89,1	100,0
მაიაკოვსკი				116.0	სიღნაღი	100,0	100,0	100,0	104,0
ჭიათურა	96,8	100,0	14,2	62.5	წითელწყარო	100,0	73.6		100,0
საჩხერე	100,0	98,9	7,8	126,8	თელავი	99,8	85,7		182,8
ორჯონიკიძე	100,0	100,0	9,0	135.4	ყვარელი	100,0	100,0	26,0	114,2
ო ნ ი	92,3	83,2		94.1	ლაგოდეხი	100,0	91.4	34,3	100.0
ამბროლაური	97,6	97,7		91,4	თბილისი	98.7	57,6	39,6	110,3
ცაგერი	100,0	100.0		44.5	მცხეთა	100,0	76,9		74,2
ქვემო სვანეთი	100.0	100,0		88.8	ყარაია	100,0	53,3		104.3
ახალქალაქი	93,5	16,6		111,8	ბორჩალო	100,0	83.3		109,8
ბოგდანოვკა	45,3	20,2	5,6	111,5	ბოლნისი	100,0	75.2	58,6	141.2
ახალციხე	97,3	85.5	3,0	93.3	საგარეჯო	98,3	81,1	27,7	100,3
ადიგენი	94,3	79,2		104,5	ბაშკიჩეთი	83,6	28,5		108,3

ახალი ცნობების წარმოუდგენლობის გამო ადიგენისა და ქარელის რაიონების მაჩვენებლები 1 სექტემბრისაა.

ჩაის ძირითადი ფოთლის დამზადება

(ტრესტ „საქჩაის“ 5 სექტემბრის ცნობებით)

რაიონები	სექტემბრის გეგმის შესრულება წინა თვეების დასაწყისის ჩათვლით პროცენტებით	ფლიური გეგმის შესრულება პროცენტებით	რაიონები	სექტემბრის გეგმის შესრულება წინა თვეების დასაწყისის ჩათვლით პროცენტებით	ფლიური გეგმის შესრულება პროცენტებით
ბათუმი	4,1	79,6	წულუკიძე	3.2	87,3
ქობულეთი	6,8	75,9	ქუთაისი	5,4	97,6
გალი	5,8	84,0	წყალტუბო	2,0	100,5
ოჩამჩირე	6,1	76,8	ტყიბული	7,7	99,4
გულრიპში	—	86,8	ცხაკაია	2,8	92,0
სოხუმი	—	80,0	აბაშა	—	91,7
გუდაუთა	—	100,2	გეგეჭკორი	—	77,9
მახარაძე	2,7	88,5	ზუგდიდი	4,0	83,0
ჩოხატაური	—	87,7	წალენჯიხა	11,3	91,4
ლანჩხუთი	5,9	80,4	ჩხოროწყუ	—	85.0
სამტრედია	—	93,4	ხობი	9,1	89,2

ახალი ცნობების წარმოუდგენლობის გამო შრომისა და მაღალი ეწრის (მახარაძის რაონი), დიდი-ჭყონის მეორე (გეგეჭკორის რაიონი) და გუდაუთის (გუდაუთის რაიონი) ჩაის ფაბრიკებიდან ცხრილში შეტანილია 1 სექტემბრის მაჩვენებლები.

ვარლამ ჟურული

უკრაინის მიწავ!

აღსდექ გმირო დასისხლულო,
უკრაინის მიწა-წყალო,
მთელი ხალხის ფიქრო, გულო,
გაძარცულო უმოწყალოდ!
აღსდექ ბოღმით მოშხამული,
მხეცის ტორით გაკლანჭული,
მკერდდაჭრილო მზის მამული,
ხმალდაკრული, გატანჯული!
შენ მტრის ხელში რა გინდოდა,
რად გარბევდნენ ყაჩაღები?!.
დონბასიდან, სტალინოდან —
მოვალთ ცეცხლის გაჩაღებით.
შენს ცოფიან დამპყრობელებს
უთენდებათ დღენი შავად;
მოვდებივართ მთებს და ველებს
ბარბაროსთა სათიბავად.

მოვალთ ცრემლის მოსაშრობად,
ვერ დაგტოვებთ მარტო ობლად,
ვინც ინატრა შენი მტრობა
შურს ვიძიებთ დაუნდობლად.
მწუხრი ბევრჯერ გაგიყავით,
გიბრალებდით გამხმარ ხესაც,
ბორკილის ქვეშ რა იყავი?
დაკოდილის მწარე კვნესა.
შორს ვარსკვლავნი გარინდულან,
ვარსკვლავებიც გთვლიან ჩვენად,
ჩვენ მოვდივართ რაინდულად
ძმების გულის მოსარჩენად.
მტრის ჩონჩხების დახვავება
გინდა, დნებრო დაუმცხრალო,
მოგვაქვს შენი აყვავება
უკრაინის მიწა-წყალო!

ჩვენმა ჯარებმა დაიკავეს ქალაქი ბახმაჩი

ნეჟინის მიმართულება, 9 სექტემბერი (საკადესის სპეც. კორესპონდენტისაგან). ავითარებენ რა შეტევას ჩრდილოეთ უკრაინაში, ჩვენი ჯარები დიდ ზარალს აყენებენ გერმანელებს და სწრაფი ტემპით მიიწევენ წინ. ამ დღეებში იმ ზოლში, რომელიც მდებარეობს მდინარე დესნასა და კურსკ-კიევის რკინიგზის შუა, ჩვენმა ჯარებმა გადალახეს დესნის შენაკადი მდინარე სეიმი და დაიკავეს ბახმაჩის ჩრდილოეთით მდებარე ქალაქი ბატურინი. გუშინ ცენტრალური ფრონტის ჯარებმა ახალ წარმატებებს მიაღწიეს ამ მიმართულებით, დაიკავეს რა გრუნტის გზების კვანძი ქალაქი ბორზნა.

გერმანელთა სარდლობა ცდილობდა რადაც უნდა დასჯდომოდა შეეჩერებინა წითელი არმიის ნაწილთა შეტევა და შეენარჩუნებინა ქალაქი ბახმაჩი—რკინიგზის უმნიშვნელოვანესი კვანძი, კომუნიკაციების ცენტრი და კიევის მიმართულებით თავისი თავდაცვის უდიდესი პუნქტი.

ბახმაჩის დასაცავად გერმანელები ცდილობდნენ ყოველმხრივ გამოიყენებინათ ხელსაყრელი ბუნებრივი პირობები. ქალაქის ჩრდილოეთით არის ძნელად გასასვლელი ტყიან-ჭაობიანი ადგილი, აღმოსავლეთით მთელი რიგი წვრილი, თავდაცვისათვის მარგავე დაბები. სწორედ ამ დასახლებულ პუნქტებში გამაგრდა მოწინააღმდეგე. 6 სექტემბრის ღამით გერმანელებმა აქ თავი მოუყარეს რამდენიმე ნაწილს, რომლებიც გაალიერეს სამარხო ბატალიონებითა და უმწყობრო რაზმებით. ჰიტლერელებმა აქვე დამატებით გადმოიყვანეს ფრონტის სხვა უბნებიდან რამდენიმე საარტილერიო და საშიმტყორცნო ბატარეა და დიდძალი დაზგის და საზენიტო ტყვიამფრქვევი.

შემტევი ჩვენი ჯარები აღმოსავლეთიდან მიადგნენ ქალაქს და ცეცხლითა ბრძოლა გაუმართეს მოწინააღმდეგეს. ჰიტლერელები შეშინდნენ—არ გაგვიკვირდეს ჩვენი პოზიციებიდან, და რამდენიმე კონტრიერიში მოიტანეს ზედიზედ, რომლებშიც მონაწილეობას იღებდნენ ქვეითი ჯარის დიდი ძალები ტანკების დახმარებით. განსაკუთრებულ შეუპოვრობას ფაშისტები იმ უბანზე იჩენდნენ, რომლის გასწვრივაც გადის კონოტოპ-ბახმაჩის რკინიგზა. გერმანელების ყველა ცდა — უკუეცეიათ ჩვენი ჯარები ქალაქიდან და სადგურიდან, ჩაიშალა.

იმ მომენტში, როცა ბახმაჩის აღმოსავლეთით სასტიკი ბრძოლა მიმდინარეობდა მოწინააღმდეგესთან, რომელმაც ბრძანება მიიღო რადაც უნდა დასჯდომოდა შეენარჩუნებინა სტრატეგიულად მნიშვნელოვანი კვანძი, ჩვენი ნაწილების სარდლობამ გადასწყვიტა შემოვლითი მანევრი მოეწყო. ქვეგანაყოფებმა, რომელნიც მოქმედებდნენ ბახმაჩის ჩრდილოეთით ბატურინის, ნოვიე მლინის რაიონში, ადგილის მძიმე პირობების მიუხედავად, ბრძოლით წაიწიეს წინ სამხრეთ-დასავლეთისაკენ, გადასჭრეს ბახმაჩ-გომელის გზა და დაიკავეს მთელი რიგი სოფლები. იმავე დროს ჩრდილოეთიდან მოქმედი ძალების ნაწილმა წაიწია სამხრეთისაკენ, მნიშვნელოვნად შეავიწროვა გერმანელები და ქალაქს მიუახლოვდა. გერმანელები წინააღმდეგობას აძლიერებდნენ, ცდილობდნენ შეეჩერებინათ ჩვენი წინსვლა. ტანკებსა და ქვეითს ჯარს გარდა, ფაშისტებმა ავიაციის დიდი ძალები აამოქმედეს.

სტეხდნენ რა მტრის წინააღმდეგობას, ჩვენი ჯარები უფრო და უფრო უახლოვდებოდნენ ქალაქს. მოიერიშე, ბომბდამშენები და გამანადგურებელი საშინლად ურტყამდნენ მტრის პოზიციებს და დაატვიფრინეს გერმანელებს რამდენიმე მარჯვე ზეგდა.

9 სექტემბერს დილით საბჭოთა ჯარებმა ორი დღის გააფთრებული ბრძოლების შედეგად იერიშით აიღეს ქალაქი ბახმაჩი.

ბახმაჩისათვის წარმოებულ ბრძოლებში გერმანიის არმიას უდიდესი ზარალი მოუვიდა. ტყვედ წამოყვანილმა უნტერ-ოფიცერმა მარტინმა განაცხადა, ასეულებში სულ ბევრი 20-30 ჯარისკაცი დარჩაო. „ჩვენი დივიზია,—ამბობს ტყვე,—15 დღით მოდიოდა ხელახლა შესადგენად და ამ დროის განმავლობაში ასეულთა რიცხობრივი შედგენილობა 50-60 ხიშტამდე აიყვანა, რაც კი ორი კვირის მანძილზე მივიღეთ, სულ მთლად დავკარგეთ ამ უკანასკნელი ორი დღის განმავლობაში. ჩვენი დივიზია ხელახლა შედგენის შემდეგ პირდაპირ გაგზავნეს რუსების შემოტევის მოსაგერიებლად. მაგრამ ისეთ ცეცხლს წავაწყდით, რომ ყველა ჯარისკაცი გიჟდებოდა“.

ვ. ბარანიკოვი.
ი. დენისოვი.

ძმებმა გლინკებმა ერთ დღეს შვიდი თვითმფრინავი ჩამოაგდეს

სამხრეთის ფრონტი, 31 აგვისტო („პრავდის“ სამხ. კორ.). ტაგანროგისათვის და როსტოვის ოლქის განთავისუფლებისათვის წარმოებულ ცხარე საჰაერო ბრძოლაში საუცხოოდ გამოიჩინეს თავი ცნობილმა საბჭოთა ასსებმა—საბჭოთა კავშირის ორგზის გმირმა კაპიტანმა, დიმიტრი გლინკამ და მისმა ძმამ საბჭოთა კავშირის გმირმა უფროსმა ლეიტენანტმა ბორის გლინკამ.

როგორც ცნობილია, დიმიტრი გლინკამ ახლოლდ ამ დღეებში მიიღო მეორე ოქროს ვარსკვლავი. ამის შემდეგ მან ფაშისტთა კიდევ 7 თვითმფრინავი ჩამოაგდო. ტაგანროგთან წარმოებულ ბრძოლებში აქტიურად მონაწილეობს ბორის გლინკაც. მარტო ორი დღის განმავლობაში — 29 და 30 აგვისტოს— მან გერმანელთა 3 თვითმფრინავი ჩამოაგდო.

დღეს ძმებმა გლინკებმა ახალი ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვეს. ისინი თავიანთი ჯარების დასაცავად გაფრინდნენ. ამ დროს ჰაერში გამოჩნდა მოწინააღმდეგის ბომბდამშენთა დიდი ჯგუფი, რომელიც ჩვენი სამხედეთო ნაწილების დასაბომბავად მოემართებოდა. გერმანელთა ბომბდამშენებს თან ახლდნენ ავიაგამანადგურებლები. ძმებმა გლინკებმა მოწინააღმდეგის გზა გადაუჭრეს. ხანმოკლე, მაგრამ ცხარე ბრძოლაში დიმიტრი გლინკამ ჩამოაგდო გერმანელთა 3 თვითმფრინავი და ერთი დაზიანა, ბორის გლინკამ მიწაზე დაანარცხა 3 თვითმფრინავი. ფაშისტთა დანარჩენი მანქანები სწრაფად გაბრუნდნენ უკან.

ამგვარად, ეს ბრძოლაც სახელოვანი საბჭოთა ასსების გამარჯვებით დამთავრდა. ამ ეამად საბჭოთა კავშირის ორგზის გმირის კაპიტან დიმიტრი გლინკას ანგარიშზე ითვლება გერმანელთა 39 ჩამოგდებული თვითმფრინავი, ხოლო საბჭოთა კავშირის გმირის უფროს ლეიტენანტ ბორის გლინკას ანგარიშზე—21 თვითმფრინავი.

„პრავდა“.

დეპეშები

ირანმა ომი გამოუცხადა გერმანიას

ლონდონი, 9 სექტემბერი. (საკადესი). რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, რომ ირანმა ომი გამოუცხადა გერმანიას.

მოკავშირეთა საომარი ოპერაციები იტალიაში

ლონდონი, 10 სექტემბერი (საკადესი). ოფიციალურად იუწყებიან, რომ ამერიკის მე-5 არმიის პირველმა რაზმებმა მთლიანად გასტეხეს გერმანელთა წინააღმდეგობა და დაიკავეს პოზიციები ნეაპოლის რაიონში. გერმანელთა წინააღმდეგობის მიუხედავად, ჯარების გადასხმა გეგმის თანახმად მიმდინარეობდა.

გუშინ სადესანტო ნაწილებმა კუნძული ვენტოტენე (დაახლოებით 40 მილზე ნეაპოლის დასავლეთით) დაიკავეს. კუნძულზე მყოფმა იტალიელთა გარნიზონმა იარაღი დაჰყარა.

გერმანელთა წინააღმდეგობის მიუხედავად, ინგლისის მე-8 არმია წინსვლას განაგრძობდა იტალიის სამხრეთ ნაწილში დასავლეთისა და აღმოსავლეთის სანაპიროს გზებით. მოწინააღმდეგე უკანდახევის გზებს იცავდა და ძლიერ ნგრევას ახდენდა. მოკავშირეთა ხელშია ქალაქი პიცო, რომელიც სამხრეთ იტალიის დასავლეთ სანაპიროზე მდებარეობს.

აღმოსავლეთ სანაპიროზე მოკავშირეთა კოლონებმა, რომელნიც წინ მიიწევენ, პუნქტ მონასტერაჩე-მარინას მიაღწიეს.

გუშინ დღისით მოკავშირეთა მძიმე ბომბდამშენებმა იერიში მიიტანეს კაპუას და კანჩელოს ხიდებზე და გზებზე, კოზენცოს კომუნიკაციებზე და სხვა ობიექტებზე. გამანადგურებელი ბომბდამშენები თავს დაესხნენ სარდინიის სამხრეთ ნაწილს.

ინგლისის პრესა იტალიის კაპიტულაციის შესახებ

ლონდონი, 9 სექტემბერი. (საკადესი). როგორც რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, დღის ყველა ინგლისური გაზეთში ნახავთ ცნობას იტალიის კაპიტულაციის შესახებ, რომელიც დაბეჭდილია უზარმაზარი სათაურით „იტალია უსიტყვო კაპიტულაციას ანდენს“. კომენტარს უკეთებენ რა იტალიელი ხალხისადმი ბადოლიოს მიმართვის „კანასკნელ ფრაზას, გაზეთები ქვესათაურებში აღნიშნავენ: „ბადოლიო ბრძანებას იძლევა წინააღმდეგობა გაუწიონ გერმანელთა იერიშებს“. ყველა მიმომხილველი ხაზგასმით აღნიშნავს ჰიტლერის მთავარი მოკავშირის დაცემის დიდ სტრატეგიულ და მორალურ მნიშვნელობას.

ფაშისტურ ბანდა ხალხის ორგანიზებული წინააღმდეგობა ოკუპანტებისადმი

ლონდონი, 10 სექტემბერი (საკადესი). სატელეფონო ტელეფონში ინგლისის ტრედუნიონების 75-ე კონგრესი. კონგრესს ესწრება საბჭოთა დელეგაცია ამხ. ნ. მ. შვერნიკის მეთაურობით, ამერიკის შრომის ფედერაციის დელეგაცია, კანადის პროფკავშირთა კონგრესის დელეგაცია, ჩეხოსლოვაკიის, შვეიცარიის და სხვა ქვეყნების პროფკავშირთა წარმომადგენლები.

კონგრესის გახსნისას თავმჯდომარემ ანა ლოფლინმა მოაგონა დამსწრეთ მოკავშირეთა წარმატებანი და განსაკუთრებით აღნიშნა საბჭოთა კავშირის მიღწევები—წესრიგი, დისციპლინიანობა, ორგანიზებულობა, რამაც ხელი შეუწყო სსრ კავშირს შეექმნა ყოველივე, რაც კი საჭიროა იმისათვის, რომ დაუძლეველი ძალის საპასუხო დარტყმა ეგემბინა მტრისათვის და დაებრუნებინა საბჭოთა მიწა-წყლის მნიშვნელოვანი ნაწილი.

ლოფლინმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ საბჭოთა კავშირმა მძიმე ფასად მიაღწია ამ გამარჯვებებს და განაცხადა: „უხარია, მიუტევებელი მუხანათობა იქნება, თუ როდისმე დავივიწყებთ რუსი ხალხის ამ მსხვერპლს და შესაძლებელს გავხდით დასუსტდეს ან კვლავ ორგანიზაციების წევრები არიან. ეს პატრიოტული ორგანიზაციები სამხედრო ყაიდაზეა მოწყობილი და თავიანთი სადაზვერვო სამსახური აქვთ. ამავე ცნობებით, 200.000 ფრანგი სფრანგეთის სხვადასხვა ადგილას იმალება, რათა თავი აარიდოს გერმანიაში იძულებითს სამუშაოზე მობილიზაციით გაგზავნას.

ბრიტანეთის ტრედუნიონების 75-ე კონგრესი საუზეკორზეში

ლონდონი, 9 სექტემბერი (საკადესი). საუტპორტში გაიხსნა ინგლისის ტრედუნიონების 75-ე კონგრესი. კონგრესს ესწრება საბჭოთა დელეგაცია ამხ. ნ. მ. შვერნიკის მეთაურობით, ამერიკის შრომის ფედერაციის დელეგაცია, კანადის პროფკავშირთა კონგრესის დელეგაცია, ჩეხოსლოვაკიის, შვეიცარიის და სხვა ქვეყნების პროფკავშირთა წარმომადგენლები.

კონგრესის გახსნისას თავმჯდომარემ ანა ლოფლინმა მოაგონა დამსწრეთ მოკავშირეთა წარმატებანი და განსაკუთრებით აღნიშნა საბჭოთა კავშირის მიღწევები—წესრიგი, დისციპლინიანობა, ორგანიზებულობა, რამაც ხელი შეუწყო სსრ კავშირს შეექმნა ყოველივე, რაც კი საჭიროა იმისათვის, რომ დაუძლეველი ძალის საპასუხო დარტყმა ეგემბინა მტრისათვის და დაებრუნებინა საბჭოთა მიწა-წყლის მნიშვნელოვანი ნაწილი.

ლოფლინმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ საბჭოთა კავშირმა მძიმე ფასად მიაღწია ამ გამარჯვებებს და განაცხადა: „უხარია, მიუტევებელი მუხანათობა იქნება, თუ როდისმე დავივიწყებთ რუსი ხალხის ამ მსხვერპლს და შესაძლებელს გავხდით დასუსტდეს ან კვლავ გაწყდეს მეგობრობის კავშირი, რომელიც ომის განსაცდელში გამოიჭედა და განმტკიცდა“.

შემდეგ ლოფლინი შეეხო ინგლის-საბჭოთა კავშირის პროფკავშირული კომიტეტის მოქმედებას, რომელიც ხელს უწყობს ორივე ქვეყნის პროფკავშირული მოძრაობის მჭიდრო კავშირისა და მტკიცე მეგობრობას, რაც საჭიროა ომისშემდგომი რეკონსტრუქციისათვის.

ლოფლინმა განაცხადა: სიფრთხილე გვმართებს, რომ მსარი არ დაეჭიროს გამცემლებს იტალიასა და სხვა ქვეყნებში „ყოველგვარ დარლანებსა და ვიდლინგებს, რომელთაც თავიანთი ხალხის მსხვერპლად მოაქვთ თავი და დახმარებას ღებულობენ მოკავშირე მთავრობებისაგან“, და მოითხოვა, რომ საერთაშორისო მუშათა მოძრაობას წარმომადგენლობა ჰყავდეს მოკავშირეთა დროებითს ადმინისტრაციაში, რათა უზრუნველყოფილ იქნას თავისუფალი პროფკავშირებისა და დემოკრატიული პოლიტიკური ორგანიზაციების აღდგენა განთავისუფლებულ ქვეყნებში.

ანა ლოფლინმა კონგრესს წარუდგინა საბჭოთა დელეგაცია, რომელსაც მეტუხარე ოვაციით შეხვდნენ.

მძლავრი შრომითი სალუქით უპასუხოთ ჩვენი გმირი ჯარების გამარჯვებებს!

ქალაქ მოსკოვის ენერგეტიკოსთა № 28 სახელოსნო-სკოლის მოსწავლეთა და მუშაკთა წერილი სახელოსნო, რაკინიგზის სასწავლებლებისა და საფაბრიკო-საქარხნო სწავლების სკოლების ქალაქ მოსწავლისა და მუშაკისადმი

ძვირფასო ამხანაგებო! 1943 წლის ოქტომბერში სრულდება ამხანაგ სტალინის ციტატივით შექმნილი სახელმწიფო შრომითი რეზერვების არსებობის მესამე წლისთავი. ეს თარიღი ემთხვევა ლენინურ-სტალინური კომკავშირის სახელოვან 25 წლისთავს. სახელოსნო, რკინიგზის სასწავლებლებსა და საფაბრიკო-საქარხნო სწავლების სკოლებში გაწვეული საბჭოთა ახალგაზრდობა სწავლობს და მუშაობს დიდი სამამულო ომის ვითარებაში. ჩვენ ვცდილობთ ვიმუშაოთ და ვისწავლოთ ისე, როგორც მოითხოვს ფრონტი. უპასუხებენ რა ამხანაგ სტალინის მოწოდებას—ვიმუშაოთ გაორკეცებული ენერგიითო—შრომითი რეზერვების მოსწავლენი და მუშაკები კადრის მუშებთან ერთად სწავლების პროცესში უშვებენ სულ უფრო და უფრო მეტ საომარ მასალებსა და საჭურველს, ეწევიან რკინიგზის ლიანდაგების, ორთქლმავლებისა და ვაგონების რემონტს, სათბობისა და მადნის ამოღებას, აღნობენ ფოლადსა და თუჯს. მილიონ-ნახევარი ჩვენი ამხანაგი, რომლებმაც სასწავლებლები და სკოლები დაამთავრეს, უკვე მუშაობს თავდაცვითს საწარმოებში, რკინიგზის ტრანსპორტზე, ელექტროსადგურებში და მშენებლობებზე; ბევ